



2024 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვარ-აპრილის  
შესრულების

**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2024**  
მაისი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 8,345.8 მლნ ლარი

71.3%

6 თვის გეგმის

34.0%

წლიური გეგმის

გადასახდელები - 7,876.6 მლნ ლარი

66.4%

6 თვის გეგმის

31.5%



წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება  
469.2 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
1,069.0 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
-19.1 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა





## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-აპრილში შემოსულობების შესრულება შეადგენს 8,345.8 მლნ ლარს (წლიური გეგმის 34.0%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,158.7 მლნ ლარით (16.1%-ით) აღემატება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-აპრილში გადასახდელების შესრულება შეადგენს 7,876.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 31.5%) და 1,472.3 მლნ ლარით (23.0%-ით) მეტია წინა წლის 4 თვის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა<sup>1</sup> განსაზღვრულია 11,710.5 მლნ ლარით, ხოლო 4 თვის შესრულება მის 71.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 6 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება შემოსავლებისა (70.2%) და ფინანსური აქტივების კლების (73.4%) მაჩვენებლები, ხოლო ვალდებულებების ზრდისა და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტების შესრულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 6 თვის გეგმის, შესაბამისად, 81.3%-ს და 83.5%-ს შეადგენს.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია 11,869.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 4 თვის შესრულება 6 თვის გეგმის 66.4%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 6 თვის გეგმის 65.8%-ს უტოლდება. შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს (71.4%). გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (6 თვის გეგმის 127.1%), ვალდებულებების კლების კომპონენტს კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს (6 თვის გეგმის 57.4%).

[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 4 თვეში შეადგინა 1,069.0 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -19.1 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 4 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 469.2 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 მაისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,046.5 მლნ ლარის ოდენობით.



# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აპრილის თვის მარკენებლები

2024 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,029.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც მარტის მარკენებელზე 517.5 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო წინა წლის აპრილის მარკენებელთან შედარებით 257.0 მლნ ლარით შემცირებულია (ძირითადად, შემოსავლების კომპონენტის კლების გავლენით). რაც შეეხება 2024 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 2,123.2 მლნ ლარს, რაც მარტის მარკენებელს 298.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო 2023 წლის აპრილის მარკენებელთან შედარებით გაზრდილია 378.0 მლნ ლარით.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:


შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (86.0%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (13.6%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მარკენებელმა შეადგინა 8.8 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 1.4 ათასი ლარი.

შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




2024 წლის აპრილში ხარჯების მარკენებელმა 1,757.9 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 287.9 მლნ ლარს და 13.3 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მარკენებელი 64.0 მლნ ლარს გაუტოლდა.


გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც აპრილში მიღებული შემოსავლების 95.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 81.9% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,661.4 მლნ ლარი, მარტის მაჩვენებელზე 377.0 მლნ ლარით ნაკლები. წინა თვესთან შედარებით ყველა გადასახადი გაზრდილია (გარდა სხვა გადასახადისა<sup>2</sup>, რომლის სახითაც მიღებულია 893.6 მლნ ლარით ნაკლები), მ.შ. ყველაზე მეტად გაზრდილია მოგების გადასახადი და დღგ, რომელთა სახითაც მიღებულია, შესაბამისად, 254.6 მლნ ლარით და 146.2 მლნ ლარით მეტი. რაც შეეხება დანარჩენ გადასახადებს, საშემოსავლო გადასახადი მომატებულია 63.3 მლნ ლარით, აქციზი - 50.3 მლნ ლარით (იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის ზრდის გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 2.2 მლნ ლარით.


რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი აპრილში გაწეული მთლიანი გადასახდელების 82.8%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა აპრილში შეადგინა 1,757.9 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,435.2 მლნ ლარი) 322.6 მლნ ლარით მეტი, რაც დაკავშირებულია ყველა სახის ხარჯის მატებასთან. ზრდა ძირითადად მოდის სხვა ხარჯების, სოციალური უზრუნველყოფისა და პროცენტის მუხლებით ხარჯებზე (რომელთა მაჩვენებლები გაზრდილია, შესაბამისად, 90.9 მლნ ლარით, 92.1 მლნ ლარით და 71.4 მლნ ლარით). რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, გრანტები მომატებულია 40.0 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 19.1 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურება და სუბსიდიები - შესაბამისად, 4.7 მლნ ლარით და 4.4 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -12.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (- 300.3) მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილში მიღებული შემოსულობებისა (2,029.6 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,123.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, აპრილის თვეში ნაშთის გამტყუნებამ შეადგინა 93.5 მლნ ლარი.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდების სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 8,345.8 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 87.9%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2022-2023 წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია (გადასახადების მატების გავლენით). რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი 2022-2023 წლებთან შედარებით შემცირებულია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 88.4%-ს შეადგენს, 2022 წელს - 89.1%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებიც, ნომინალურ გამოხატულებაში 2022-2023 წლებთან შედარებით გაზრდილია (საშინაო დაფინანსების წყაროდან შემოსულობის მატების გავლენით), თუმცა მთლიან შემოსულობებში მისი წილობრივი მაჩვენებელი 2022-2023 წლებთან შედარებით შემცირებულია (2024 წელს ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 9.4%-ია, 2023 წელს - 9.8% და 2022 წელს - 9.7%). მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.7%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2023 წელს 1.8%-ს, ხოლო 2022 წელს 1.1%-ს შეადგენდა.




შემოსავლების სახით 4 თვეში მიღებულია 7,339.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 70.2% და წლიური გეგმის 35.4%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 986.4 მლნ ლარით (15.5%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი მობილიზების დონით ხასიათდება გადასახადები, გრანტების მაჩვენებელი მაღალი შესრულებით გამოირჩევა, ხოლო სხვა შემოსავლები ხასიათდება შესრულების დაბალი დონით.

იანვარ-აპრილში მიღებული გადასახადები 6,873.7 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 73.1%-ს და წლიური გეგმის 36.0%-ს შეადგენს. 6 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი მობილიზების კარგი დონით გამოირჩევა, განსაკუთრებით, მოგების გადასახადი და აქციზი (შესაბამისად, 6 თვის გეგმის 71.2% და 74.1%) და 63.1%-74.1%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 6 თვეში მისი გეგმა განისაზღვრა 87.0 მლნ ლარით, ფაქტობრივად კი 349.3 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წლის 4 თვესთან შედარებით, გადასახადები 1,366.2 მლნ ლარით (24.8%-ით) არის გაზრდილი, რაც ძირითადად უკავშირდება საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების მატებას (შესაბამისად, 16.1%-ით, 47.8%-ით და 16.1%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამკვირვებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 249.7 მლნ ლარით (15.6%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-აპრილში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 2,410.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 334.6 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 184.3 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 150.3 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 27.9%-ით (163.2 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (3.9 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (167.1 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 127.2 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (122.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 6 თვის გეგმის 90.2%-ს და წლიური გეგმის 46.2%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების (6 თვის გეგმის 102.6%) გადაჭარბებით მიღებასთან, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 4 თვეში მიღებულია 20.9 მლნ ლარი. ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, გრანტის სახით შემოსავალი ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან (6 თვის გეგმის 59.1%) და საინვესტიციო გრანტები (5.0 მლნ ლარის ოდენობით), რაც 6 თვის გეგმის 30.7%-ს შეადგენს.

სხვა შემოსავლების სახით იანვარ-აპრილში ბიუჯეტში მობილიზებულია 342.4 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 37.4% და წლიური გეგმის 25.4%. ძირითადი შემოსავალი (45.6%) მიღებულია საკუთრებიდან (156.1 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (28.3%, 97.1 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებს (60.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი მაჩვენებელი აქვს და 6 თვის გეგმის 83.5%-ს (წლიური გეგმის 30.5%) შეადგენს, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 31.2 მლნ ლარით (2.1-ჯერ) აღემატება. აღნიშნული შემოსულობების ძირითადი ნაწილი (56.7 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობებმა იანვარ-აპრილში 161.4 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 73.4%-ს და წლიური გეგმის 53.8% შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 62.0 მლნ ლარით (62.4%-ით) აღემატება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 4 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 784.5 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 81.3% (წლიური გეგმის 23.5%). კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 343.4 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 89.4%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით მიღებულია 2.3 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 1.5%). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 438.7 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 102.5%) შეადგინა.

	4 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	784.5	81.3%	23.5%
საგარეო	345.8	64.3%	18.8%
საბიუჯეტო კრედიტები	2.3	1.5%	0.5%
საინვესტიციო კრედიტები	343.4	89.4%	24.7%
საშინაო	438.7	102.5%	29.2%

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 7,876.6 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 79.6%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-აპრილში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 81.5%-ს, ხოლო 2023 წლის იანვარ-აპრილში - 79.8%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2024 წლის იანვარ-აპრილში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 14.6% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.0% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 4.9%. 2023 წლის იანვარ-აპრილში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 14.1%-ის, 1.1%-ის და 5.0%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარ-აპრილში - 12.4%-ის, 0.6%-ის და 5.5%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



ხარჯების შესრულებამ იანვარ-აპრილში შეადგინა 6,270.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 65.8% და წლიური გეგმის 32.8%, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 1,161.0 მლნ ლარით (22.7%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (375.6 მლნ ლარი) მუხლზე. 6 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სუბსიდიების (73.4%), პროცენტის (72.4%) და სოციალური უზრუნველყოფის (67.3%) მუხლები. 6 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურების (61.6%), სხვა ხარჯების (62.3%), შრომის ანაზღაურების (63.0%) და გრანტების (63.9%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (548.3 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 304.8 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 243.5 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (2,516.2 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (1,842.6 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (497.8 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (125.0 მლნ ლარი).


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (1,148.9 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 71.4%-ს და წლიური გეგმის 27.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (433.6 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (190.7 მლნ ლარი), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (102.1 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (54.9 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მარგენებელი (75.1 მლნ ლარი), 6 თვის გეგმის 127.1%-ს და წლიური გეგმის 24.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 28.8 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე 36.7 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე 9.6 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)



ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (382.5 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 6 თვის გეგმის 57.4%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 26.9%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 369.9 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	4 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	382.5	57.4%	26.9%
საგარეო	369.9	57.6%	26.8%
საშინაო	12.7	51.3%	29.7%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების 3 თვის შესრულება მოიცავს დამატებით 6 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- “საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა” (პროგრამული კოდი - 24 14 04) - 6.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - 0.7 მლნ ლარის ოდენობით;
- "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- “ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა” (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- “მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 0.05 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.04 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-აპრილში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 928.1 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 65.4% და წლიური გეგმის 31.4%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 348.7 მლნ ლარი, საიდანაც 227.5 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს, 120.9 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს და 0.2 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-აპრილში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიმართა 125.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 138.8 მლნ ლარის, 6.8 მლნ ლარის და 1.6 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 7,419.0 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 66.6% და წლიური გეგმის 31.8%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2024 წლის 4 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი)



# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 4 თვის შესრულება	2024 წლის ნლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა*	2024 წლის 4 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსულობები</b>	<b>7,187.1</b>	<b>24,569.5</b>	<b>11,710.5</b>	<b>8,345.8</b>	<b>71.3%</b>	<b>34.0%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>6,352.6</b>	<b>20,731.0</b>	<b>10,451.9</b>	<b>7,339.0</b>	<b>70.2%</b>	<b>35.4%</b>
გადასახადები	5,507.5	19,115.0	9,399.8	6,873.7	73.1%	36.0%
საშემოსავლო გადასახადი	1,876.4	6,345.1	3,160.0	2,179.2	69.0%	34.3%
მოგების გადასახადი	772.8	2,690.0	1,605.0	1,142.1	71.2%	42.5%
დღგ	2,075.8	7,388.3	3,466.8	2,410.4	69.5%	32.6%
აქციზი	584.7	2,375.0	1,010.0	747.9	74.1%	31.5%
იმპორტის გადასახადი	43.8	150.0	71.0	44.8	63.1%	29.9%
სხვა გადასახადები	154.1	166.6	87.0	349.3	401.5%	209.7%
გრანტები	125.3	266.0	136.2	122.9	90.2%	46.2%
სხვა შემოსავლები	719.7	1,350.0	916.0	342.4	37.4%	25.4%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>29.7</b>	<b>200.0</b>	<b>73.0</b>	<b>60.9</b>	<b>83.5%</b>	<b>30.5%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>99.4</b>	<b>300.0</b>	<b>220.0</b>	<b>161.4</b>	<b>73.4%</b>	<b>53.8%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>705.5</b>	<b>3,338.5</b>	<b>965.5</b>	<b>784.5</b>	<b>81.3%</b>	<b>23.5%</b>
საგარეო	433.1	1,838.5	537.5	345.8	64.3%	18.8%
საშინაო	272.4	1,500.0	428.0	438.7	102.5%	29.2%
<b>გადასახდელები</b>	<b>6,404.3</b>	<b>25,030.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>7,876.6</b>	<b>66.4%</b>	<b>31.5%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>5,109.0</b>	<b>19,120.9</b>	<b>9,534.4</b>	<b>6,270.0</b>	<b>65.8%</b>	<b>32.8%</b>
შრომის ანაზღაურება	681.0	2,577.3	1,278.0	804.6	63.0%	31.2%
საქონელი და მომსახურება	601.9	2,232.0	1,162.2	715.4	61.6%	32.1%
პროცენტი	395.2	1,540.0	757.2	548.3	72.4%	35.6%
სუბსიდიები	287.4	1,044.9	493.9	362.3	73.4%	34.7%
გრანტები	312.0	1,513.0	737.6	471.6	63.9%	31.2%
სოციალური უზრუნველყოფა	2,140.6	7,470.4	3,737.5	2,516.2	67.3%	33.7%
სხვა ხარჯები	691.0	2,743.2	1,368.0	851.6	62.3%	31.0%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>902.7</b>	<b>4,180.6</b>	<b>1,609.0</b>	<b>1,148.9</b>	<b>71.4%</b>	<b>27.5%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>70.6</b>	<b>305.6</b>	<b>59.1</b>	<b>75.1</b>	<b>127.1%</b>	<b>24.6%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>321.9</b>	<b>1,423.4</b>	<b>666.9</b>	<b>382.5</b>	<b>57.4%</b>	<b>26.9%</b>
საგარეო	309.3	1,380.6	642.1	369.9	57.6%	26.8%
საშინაო	12.6	42.7	24.7	12.7	51.3%	29.7%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>782.8</b>	<b>-460.9</b>	<b>-158.9</b>	<b>469.2</b>		

\* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწესის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 4 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 4 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსავლები</b>	<b>6,352.6</b>	<b>20,731.0</b>	<b>10,451.9</b>	<b>7,339.0</b>	<b>70.2%</b>	<b>35.4%</b>
გადასახადები	5,507.5	19,115.0	9,399.8	6,873.7	73.1%	36.0%
გრანტები	125.3	266.0	136.2	122.9	90.2%	46.2%
სხვა შემოსავლები	719.7	1,350.0	916.0	342.4	37.4%	25.4%
<b>ხარჯები</b>	<b>5,109.0</b>	<b>19,120.9</b>	<b>9,534.4</b>	<b>6,270.0</b>	<b>65.8%</b>	<b>32.8%</b>
შრომის ანაზღაურება	681.0	2,577.3	1,278.0	804.6	63.0%	31.2%
საქონელი და მომსახურება	601.9	2,232.0	1,162.2	715.4	61.6%	32.1%
პროცენტი	395.2	1,540.0	757.2	548.3	72.4%	35.6%
სუბსიდიები	287.4	1,044.9	493.9	362.3	73.4%	34.7%
გრანტები	312.0	1,513.0	737.6	471.6	63.9%	31.2%
სოციალური უზრუნველყოფა	2,140.6	7,470.4	3,737.5	2,516.2	67.3%	33.7%
სხვა ხარჯები	691.0	2,743.2	1,368.0	851.6	62.3%	31.0%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>1,243.5</b>	<b>1,610.1</b>	<b>917.5</b>	<b>1,069.0</b>	<b>116.5%</b>	<b>66.4%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>873.0</b>	<b>3,980.6</b>	<b>1,536.0</b>	<b>1,088.0</b>	<b>70.8%</b>	<b>27.3%</b>
ზრდა	902.7	4,180.6	1,609.0	1,148.9	71.4%	27.5%
კლება	29.7	200.0	73.0	60.9	83.5%	30.5%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>370.5</b>	<b>-2,370.5</b>	<b>-618.5</b>	<b>-19.1</b>	<b>3.1%</b>	<b>0.8%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>754.1</b>	<b>-455.4</b>	<b>-319.8</b>	<b>382.9</b>	<b>-119.7%</b>	<b>-84.1%</b>
ზრდა	853.5	305.6	59.1	544.3	921.2%	178.1%
გალუტა და დეპოზიტები	782.8	0.0	0.0	469.2		
სესხები	69.5	305.6	59.1	73.9	125.1%	24.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
<b>კლება</b>	<b>99.4</b>	<b>760.9</b>	<b>378.9</b>	<b>161.4</b>	<b>42.6%</b>	<b>21.2%</b>
გალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	158.9	0.0	0.0%	0.0%
სესხები	99.4	300.0	220.0	161.4	73.4%	53.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
<b>გალდებულებების ცვლილება</b>	<b>383.6</b>	<b>1,915.1</b>	<b>298.7</b>	<b>402.0</b>	<b>134.6%</b>	<b>21.0%</b>
ზრდა	705.5	3,338.5	965.5	784.5	81.3%	23.5%
საშინაო	272.4	1,500.0	428.0	438.7	102.5%	29.2%
საგარეო	433.1	1,838.5	537.5	345.8	64.3%	18.8%
<b>კლება</b>	<b>321.9</b>	<b>1,423.4</b>	<b>666.9</b>	<b>382.5</b>	<b>57.4%</b>	<b>26.9%</b>
საშინაო	12.6	42.7	24.7	12.7	51.3%	29.7%
საგარეო	309.3	1,380.6	642.1	369.9	57.6%	26.8%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 4 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 6 თვის გეგმასთან მიმართებაში %
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>25,030.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>7,876.6</b>	<b>31.5%</b>	<b>66.4%</b>
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>86.6</b>	<b>43.6</b>	<b>25.3</b>	<b>29.2%</b>	<b>57.9%</b>
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	36.2	21.0	29.2%	58.0%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	25.8	12.9	6.8	26.5%	52.9%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	4.4	3.1	35.0%	70.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	18.9	11.1	29.7%	58.7%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	18.8	11.0	29.6%	58.6%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.03	0.04	72.7%	145.4%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	6.4	3.8	29.3%	58.5%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.4	0.2	30.1%	53.7%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	0.7	0.3	25.2%	49.6%
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>9.6</b>	<b>5.6</b>	<b>2.6</b>	<b>27.1%</b>	<b>46.7%</b>
<b>03 00</b>	<b>საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი</b>	<b>0.9</b>	<b>0.4</b>	<b>0.2</b>	<b>28.9%</b>	<b>57.0%</b>
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>27.0</b>	<b>11.7</b>	<b>7.5</b>	<b>27.7%</b>	<b>64.1%</b>
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>23.3</b>	<b>13.6</b>	<b>5.8</b>	<b>25.0%</b>	<b>42.8%</b>
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>171.2</b>	<b>91.2</b>	<b>20.2</b>	<b>11.8%</b>	<b>22.2%</b>
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	16.1	7.9	26.3%	48.8%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	1.2	0.5	25.6%	42.9%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	6.4	4.2	33.3%	66.7%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	67.5	7.6	6.0%	11.2%
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>6.2</b>	<b>3.2</b>	<b>1.7</b>	<b>27.2%</b>	<b>53.1%</b>
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>17.4</b>	<b>8.7</b>	<b>5.6</b>	<b>32.4%</b>	<b>64.7%</b>
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>137.5</b>	<b>63.6</b>	<b>37.0</b>	<b>26.9%</b>	<b>58.1%</b>
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	61.8	36.0	26.9%	58.3%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	1.8	1.0	28.1%	53.2%
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>10.6</b>	<b>5.0</b>	<b>2.0</b>	<b>19.1%</b>	<b>40.2%</b>
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.7</b>	<b>0.4</b>	<b>30.6%</b>	<b>58.7%</b>
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.1</b>	<b>0.6</b>	<b>0.3</b>	<b>28.9%</b>	<b>55.0%</b>
<b>13 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.8</b>	<b>0.5</b>	<b>34.6%</b>	<b>61.5%</b>
<b>14 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>0.6</b>	<b>0.4</b>	<b>32.0%</b>	<b>60.5%</b>

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 4 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 6 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	29.2%	55.5%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.4	33.6%	60.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.4	32.4%	62.4%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	0.9	0.4	29.4%	47.8%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	28.7%	53.4%
20 00	<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</b>	<b>210.0</b>	<b>108.2</b>	<b>66.8</b>	<b>31.8%</b>	<b>61.8%</b>
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	80.4	49.6	30.8%	61.7%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	26.0	16.5	36.4%	63.4%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	1.8	0.7	21.4%	40.9%
21 00	<b>საქართველოს პროკურატურა</b>	<b>63.2</b>	<b>32.1</b>	<b>17.8</b>	<b>28.2%</b>	<b>55.4%</b>
22 00	<b>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>	<b>4.0</b>	<b>2.3</b>	<b>1.2</b>	<b>30.0%</b>	<b>52.3%</b>
23 00	<b>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</b>	<b>114.0</b>	<b>59.9</b>	<b>36.6</b>	<b>32.1%</b>	<b>61.2%</b>
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	15.9	11.9	38.2%	75.1%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	13.0	5.0	19.9%	38.2%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	23.9	15.6	35.3%	65.1%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	4.9	2.7	28.1%	55.1%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	0.8	0.7	56.3%	92.8%
23 06	ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	1.4	0.7	25.8%	51.1%
24 00	<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>	<b>801.0</b>	<b>394.1</b>	<b>190.5</b>	<b>23.8%</b>	<b>48.3%</b>
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	9.8	4.8	22.8%	49.1%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	1.1	0.6	29.8%	56.8%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	1.0	0.6	47.7%	56.1%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	1.0	0.5	29.8%	54.6%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	18.1	13.4	40.0%	74.2%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	88.6	53.9	35.4%	60.8%
24 07	მენარმეობის განვითარება	304.9	140.5	57.8	18.9%	41.1%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	2.5	1.3	27.1%	54.3%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	138.0	56.4	18.8%	40.9%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	54.4	16.3	20.0%	29.9%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.6	0.4	44.9%	62.6%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	10.0	1.1	5.1%	11.2%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	10.0	8.1	67.6%	81.0%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 4 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 6 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	1.9	0.05	1.0%	2.5%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	1.0	0.0	0.0%	0.0%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	41.3	27.7	22.2%	67.1%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	41.3	20.9	17.4%	50.5%
24 14 01 01	500 კვ ევხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	16.5	10.5	26.1%	63.4%
24 14 01 02	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW)	15.0	5.9	0.3	2.2%	5.7%
24 14 01 03	500 კვ ევხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	25.0	6.3	6.6	26.5%	106.1%
24 14 01 04	გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)	20.0	7.0	1.3	6.5%	18.7%
24 14 01 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	5.0	2.4	0.1	2.3%	4.6%
24 14 01 06	„ხელედულა-ლაჯანური-ონი“ (KfW)	15.0	3.3	2.0	13.4%	60.9%
24 14 02	შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 14 04	საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა	0.0	0.0	6.8		
24 14 04 01	500 კვ ევხ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EU, KfW)	0.0	0.0	6.8		
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	0.4	0.2	6.8%	55.9%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	1.4	0.8	0.6	44.3%	77.5%
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	2.0	1.2	35.3%	59.8%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	5.6	2.8	0.0	0.0%	0.0%
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	0.1	0.0	0.0%	0.0%
